აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №2

28/03/2024 წელი **ქ. ბათუმი**
12⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **- პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯომარის მოადგილე;
ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;
ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;
მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;
თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი;
ციალა შავაძე - უსკოს წევრი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნოს კომისიის ლოგოს შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ;

2. განკარგულება
ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ბეჭდისა და შტამპის ფორმის დამტკიცების შესახებ;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნოს კომისიის ლოგოს შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ;

2. განკარგულება
ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ბეჭდისა და შტამპის ფორმის დამტკიცების შესახებ.

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნოს კომისიის ლოგოს შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნოს კომისიის ლოგოს შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ, განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნოს კომისიის ლოგოს შესარჩევი

კონკურსის გამოცხადების შესახებ, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შ[5] ქვეპუნქტისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკოს) ლოგოს შესარჩევი კონკურსი 2024 წლის 01 აპრილიდან 2024 წლის 25 აპრილის ჩათვლით.

2. საკონკურსო კომისია ლოგოს შერჩევას და გამარჯვებულის გამოვლენას ახდენს შემდეგი კრიტერიუმებისა და პირობების გათვალისწინებით:

ა) ლოგოს ესკიზის პროექტი შესრულებული უნდა იყოს კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით;

ბ) ლოგოს კონცეფცია კავშირში უნდა იყოს საარჩევნო თემატიკასთან;

გ) არ უნდა იყოს მიმსგავსებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ლოგოებთან;

დ) მარტივად უნდა თავსდებოდეს დაწესებულების ნებისმიერ საბრენდო პროდუქციაზე (სავიზიტო ბარათზე, კალამზე, ვებ-გვერდზე და ა.შ.);

ე) მარტივად უნდა შეიძლებოდეს ლოგოს ზომის ცვლილება, მისით მანიპულირება;

ვ) ლოგო უნდა იყოს: ვიზუალურად ადვილად აღსაქმელი, დასამახსოვრებელი თანამედროვე დიზაინის, მარტივი და უნიკალური;

ზ) ლოგო უნდა შეიცავდეს წარწერას - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია;

თ) ლოგოს უნდა ჰქონდეს ორენოვანი წარწერა - ქართულ და ინგლისურ ენაზე;

ი) გამარჯვებულ ლოგოზე უსკოს უნდა ჰქონდეს ექსკლუზიური საავტორო უფლება;

კ) ლოგო წარმოდგენილი უნდა იყოს ვექტორულ ფორმატში, CMYK ან RGB ფერების გამოყენებით.

3. გამარჯვებულ ლოგოს გამოავლენს სპეციალური საკონკურსო კომისია.

4. საკონკურსო კომისია საუკეთესო ნამუშევარს გამოავლენს კონფიდენციალური შერჩევის გზით.

5. კომისია არ გამოავლენს გამარჯვებულს, თუ კომისიის წევრების მიერ ვერ მოხერხდება გამარჯვებული ლოგოს შერჩევა.

6. საკონკურსო ნამუშევრები მსურველებმა უნდა წარმოადგინონ/გამოაგზავნონ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info.sec.ge ან press@sec.ge.

7. კონკურსში გამარჯვებულისათვის გადასაცემი ჯილდო განისაზღვროს 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

8. კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასება ხორციელდება 10 ბალიანი ქულათა სისტემით, საშუალო არითმეტიკული გამოთვლით, ამასთან გამარჯვებულად შეიძლება გამოცხადდეს ის ნაშრომი, რომელიც კომისიის მიერ მიიღებს არანაკლებ 7 ბალიან შეფასებას.

9. კონკურსი და მისი შედეგები გამოცხადდება უსკოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.sec.ge).

10. ერთი მონაწილის მიერ დასაშვებია არაუმეტეს ხუთი ნამუშევრის წარმოდგენა.

11. კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლია უსკოს თანამშრომლებს.

12. კონკურსი ტარდება ერთ ტურად.

13. გამარჯვებული ლოგოს პროექტი გადადის უსკოს საკუთრებაში საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ხოლო ყველა სხვა პროექტი მოთხოვნისთანავე უბრუნდება ავტორს.

14. ამ განკარგულების შესრულებას უზრუნველყოფს სპეციალური საკონკურსო კომისია.

15. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

16. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება
ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ბეჭდისა და შტამპის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ბეჭდისა და შტამპის ფორმის დამტკიცების შესახებ, განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ბეჭდისა და შტამპის ფორმის დამტკიცების შესახებ, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ბეჭდისა და შტამპის ფორმა თანდართული ნიმუშების შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**